# ქართული აზრი

„ყოველგვარი სიძულვილის გარეშე, ყველასადმი სიყვარულით, სიმართლის ღრმა რწმენით, რამდენადაც ამის დანახვის შესაძლებლობას ღმერთი გვაძლევს, ვეცდებით მივიყვანოთ ჩვენი საქმე ბოლომდე“.

**აბრამ ლინკოლნი. 1865 წ.**

№ 3 **GEORGIAN OPINION** NEW YORK, FEBRUARY 1956

ეროვნული ბიბლიოთეკა

**თებერვალი 1956, ნიუ იორკი**

საუკეთესო დაფასება ეროვნული ტრადიციისა ჩვენს თვითმიძღვნაშია.

საუკეთესო სამსახური ერისა და ქვეყნის, ჩვენს სულიერ ამაღლებაშია; ამაღლება პირადულობაზე და ცალკეულობაზე.

თუ ქართული ემიგრაცია გაერთიანდა, თუ მან მოახერხა თავისი თავის ორგანიზაცია და გაერთიანებული ენერგიის ეროვნულ დისციპლინაში ჩაყენება და მისი დაზოგვილი და გონიერი გამოყენება, იგი თავის უდიდეს მოვალეობას შეასრულებს და ვალმოხდილი იქნება.

ამ მიმართულებით მეტად დროული და მნიშვნელოვანია ბატონ **ლეო დუმბაძის** ინიციატივა. თუ ემიგრაციის გაერთიანება მოხდა, გლოვის თებერვალს კვლავ შეგვიცვლის ბრწყინვალე მაისი, რადგან ძალა ერთობაშია და ერთობის გარეშე შეუძლებელია ჩვენი საბოლოო გამარჯვება.

ამ რწმენით, **„ქართული აზრის“** რედაქცია ესალმება ბ-ნ ლ. დუმბაძის ინიციატივას და აღუთქვამს მის მიერ განზრახულ „ეროვნული ერთობის“ ორგანიზაციას მხარის დაჭერას და აქტიურ თანამშრომლობას.

აქვე ვათავსებთ ბ-ნ დუმბაძის მოწოდებას.

ძვირფასო თანამემამულენო!

ყველასათვის ცნობილია, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შ. შტატები გადაიქცა მსოფლიო მშვიდობიანობის და ერებისა და პიროვნების უფლებების დაცვის კერად. ამიტომ ყველა დაპყრობილ, ან მოსალოდნელ საშიშროებაში მყოფ ერების ყურადღება, ბუნებრივად აქეთ არის მომართული. დღეს უკვე ნათელია, რომ მსოფლიო ორ ბანაკად არის გაყოფილი და ერთი მეორეს დაპირდაპირებულია ორი იდეოლოგია; თავისუფლება და სამართლიანობა, რომელსაც წარმოადგენს დასავლეთის დემოკრატია და, აგრესია და იმპერიალიზმი, რომელსაც წარმოადგენს რუსული კომუნიზმი. შეერთებულმა შტატებმა და მისმა მოკავშირეებმა უნდა უზრუნველყონ მსოფლიოში თავისუფალი დემოკრატიული ცხოვრება, ან რუსული კომუნიზმი შთანთქავს კაცობრიობას და გაბატონდება მასზე.

ჩვენ გვჯერა, რომ სრულდება იმპერიალისტურ-კოლონიალური პოლიტიკის ეპოქა და იწყება ახალი: როდესაც ძლიერმა ველარ უნდა დაჩაგროს სუსტი, დიდმა ველარ დაიპყროს და დაიმონოს პატარა და ყოველ ერს ექნება შესაძლებლობა ისე იცხოვროს, როგორც მას სურს და ისე მოაწყოს თავისი ეროვნული ცხოვრება, როგორც მის ისტორიულ ტრადიციებს შეეფერება. ამ მხრივ ქართული ეროვნული ინტერესები სრულიად ემთხვევა ამერიკული პოლიტიკის მისწრაფებებს და ვაღიარებთ რა ამ ფაქტს, საჭიროდ მიგვაჩნია აქედან გამომდინარე პრაქტიკული დასკვნებიც გავაკეთოდ: ჩავდგეთ თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის მებრძოლთა რიგებში და როგორც საერთაშორისო ხასიათის, ისე ქართულ საქმიანობაში ჩვენი წვლილი შევიტანოთ.

ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ მოვლენათა მიხედვით, მოთხოვნილებას აღარ აკმაყოფილებს დღევანდლამდე არსებული პოლიტიკური კომიტეტები და მიუხედავად მათი ენერგიული მოქმედებისა, საჭირო გახდა ქართული ძალების რეორგანიზაცია, რათა გარემოებასთან შესაფერი ფორმით, გაერთიანებული ძალებით და შესაძლებლობით შეუდგეთ საქმიანობას. საჭიროა ჩვენ თითონ გარდავიქმნეთ და შევეგუოდ ახალ პირობებს, რომელსაც ჩვენი გარდაუვალი მიზანი — საქართველოს ეროვნულ სახელმწიფოებრივობისათვის ბრძოლა გვიყენებს. ჩვენ უნდა შევძლოთ ფართოდ დავაყენოდ ქართული საკითხი უცხოეთის და კერძოდ შ. შტატების საზოგადოებრივი აზრის წინაშე და ვეცადოთ რაც შეიძლება მეტი მხარის დამჭერი და დამცველი მოუპოვოთ მას. ამ მოვალეობის აღსრულება შეუძლებელია ეროვნულ ძალთა გაერთიანების გარეშე. ჩვენ უნდა გავერთიანდეთ და ყოველი ჩვენი შესაძლებლობა მიუძღვნათ ჩვენი სამშობლოს განთავისუფლების საქმეს.

ამისათვის საჭიროა შ. შტატებში შეიქმნას ერთი ეროვნული ორგანიზაცია, რომელიც გაერთიანებს და თავს მოუყრის გაბნეულ ქართველობას, რათა გაერთიანებული ეროვნული ენერგია ერთ მიზანს ამსახუროს. ამ ახალი ორგანიზაციის მიზანი იქნება ამერიკულ დემოკრატიული იდეების მატარებელი ყოველი ქართველის გაერთიანება საქართველოს ინტერესების დასაცავად.

როდესაც სათვისტომოს თავმჯდომარეობაზე უარი ვთქვი, განვაცხადე, რომ საჭიროდ მიმაჩნდა ჩემი ენერგია და შესაძლებლობა მთლიანად მიმეძღვნა ქართული საქმიანობისათვის. მას შემდეგ ვაწარმოებდი ნიადაგის მოსინჯვას. დიდი ყურადღებით შევისწავლე ყოველი შესაძლებლობა, თუ რა სახის ორგანიზაცია მოგვცემდა სასურველ შედეგებს. დავრწმუნდი, რომ შექმნილი მდგომარეობიდან ერთად ერთი სწორი გამოსავალია ეროვნული ერთობის ორგანიზაციის შექმნა. ამას მოითხოვს ჩვენი ქვეყნის ინტერესები.

მხოლოდ ერთობით შეგვიძლია მივაღწიოთ ჩვენ სასურველ თავისუფლებას და მისთვის ბრძოლაში გამოსადეგი ვიყოთ. გაყოფით და დაქსაქსულობით-კი ვეშვებით უფსკრულში და შეუგნებლად ვხდებით საერთო ეროვნული საქმიანობის ხელისშემშლელები. უმორჩილესად ვთხოვ ჩემს თანამემამულეებს ამაღლდენ სამშობლოს საყოველთაო გაგებამდე, განდევნონ თავისი თავიდან პირადი, სადაო და დამშლელი მოსაზრებები. ერთი მეორესთან დავა უნდა დასრულდეს, ან ეს დაღუპავს ჩვენ საქმეს.

თუ თქვენი მოსაზრებები ემთხვევა ჩემსას და საჭიროდ მიგაჩნიათ ეროვნული ერთობის ორგანიზაციის დაარსება და თანახმა ხართ ჩადგეთ მის რიგებში, რათა გახდეთ აქტიური მონაწილე ჩვენი საქმიანობის, გთხოვთ ზედდართულ ბარათს ხელი მოაწეროთ და დამიბრუნოთ არა უგვიანეს ამა იანვრის 28-სა.

ამის შემდეგ, დაახლოებით თებერვლის შუა რიცხვებში — რაც ცალკე გეცნობებათ — მოწვეული იქნება ორგანიზაციის დამფუძნებელი კრება, სადაც განიხილება მოქმედების პროგრამა და აირჩევა ორგანიზაციის სახელმძღვანელო ორგანო.

მარადის პატივისცემით **ლეო დუმბაძე**

---

## მსოფლიოს აღრევის მიზეზები

### III

იმ ფრთხილი ცნობების მიხედვით, რომელსაც ხანგამოშვებით აქვეყნებს თავისუფალი ქვეყნების პრესა და ევროპის თავდაცვის კომიტეტი, რუსეთმა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შემოინახა 186 დივიზია. რამდენადაც შეიძლება რკინის ფარდის იქიდან მიღებული ცნობების სისწორით დაფასება, სამი დივიზია სდგას კამჩატკაში, 32 შუა აზიაში, 85-თი ევროპის საზღვრებთან არის განრიგებული და 56-ი სატელიტებში. სჩანს ამ 186 დივიზიაში არ შედის რუსეთის მიერ მეორე მსოფლიო ომამდე დაპყრობილ ქვეყნებში მდგარი ჯარი და ასევე წარმოუდგენელია, რომ შიდა რუსეთში და შორეულ აღმოსავლეთში ჯარი არ იდგეს. ამ რიცხვში არ შედის აგრეთვე ნ.კ.ვ.დ. 8 დივიზია, რომელიც სულ უკანასკნელ ხანებში დაუმორჩილეს საერთო სამხედრო სარდლობას და იყო საიდუმლო პოლიციის უფროსის განკარგულებაში. მაშასადამე რუსეთს ბევრად მეტი შეიარაღებული ძალა ჰყავს ვიდრე ოფიციალური ციფრები აჩვენებს. ამას ზედ ერთვის რუსეთის მიერ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაპყრობილი ქვეყნების ჯარი, რომელიც, როგორც ქვემოდ დავინახავთ არც ისე უმნიშვნელოა.

ე.წ. ვარშავის ბლოკის ქვეყნებს (აღ. გერმანიის ჩათვლით) ვარშავის სამხედრო ხელშეკრულებამ 50 დივიზიის ყოლის უფლება მიანიჭა. თუმცა ამ ბლოკის დაარსებამდე შიგ შემავალ რუსეთის სატელიტებს ბევრად უფრო მეტი შეიარაღებული ძალა ჰყავდათ და არც ამ ხელშეკრულების შემდეგ შემცირებულა, ე.ი. 50-მდე არ დასულა. აღ. გერმანიის რვა დივიზიას, რომელსაც „ფოლკს პოლიცაის“ ეძახიან, არაფერი აქვს საერთო პოლიციურ ფუნქციებთან და არის ნამდვილი რეგულარული ჯარი მფრინავი ბატალიონებით. 8 დივიზიიდან ნახევარი ჯავშნოსანი და მექანიზებულია. ამავე დროს აღ. გერმანიაში დაბანაკებულია 24 რუსული დივიზია: ათი ჯავშნოსანი, 11 ფეხოსანი, 2 საარტილერიო და 1 ავიაციის საწინააღმდეგო. ეტყობა რუსებს დიდი ნდობა არ უნდა ჰქონდეთ გერმანული დივიზიების, რადგან გერმანული ნაწილები გაბნეულია რუსულ დივიზიებში და ყველა ერთად — 24 რუსული და 8 გერმანული განაწილებულია 6 არმიად. ე.ი. თითო გერმანული დივიზია განრიგებულია 4 რუსულში და ემორჩილებიან საერთო სარდლობას — რუსულს.

**პოლონეთს** ჰყავს 20 დივიზია. აქედან სამი ჯავშნოსანი და ერთი მექანიზებული. პოლონეთის ტერიტორიაზე დაბანაკებულია 25 რუსული დივიზია: 11 ჯავშნოსანი, 2 საარტილერიო, და 1 საზენიტო არტილერიის.

**ჩეხო-სლოვაკია:** 12 დივიზია. 5 ჯავშნოსანი და 7 მექანიზებული.

**უნგრეთი:** 13 დივიზია. 3 მოტორიზებული. 1 ჯავშნოსანი და 1 ბრიგადა პარაშუტისტების. იქვე დაბანაკებულია 2 რუსული დივიზია რომელსაც მიემატა ავსტრიიდან გადაყვანილი რუსული დივიზიები.

**რუმინია:** 13 დივიზია. 2 სამთო. 2 ჯავშნოსანი. იქვეა 3 რუსული დივიზია.

**ბულგარეთი:** 13 დივიზია. აქედან 2 მოტორიზებული და 2 ჯავშნოსანი. 2 რუსული დივიზია.

**ალბანეთი:** 3 დივიზია.

ეს მცირე ამონაწერი ამხელს კრემლის საიდუმლო მიზნებს და ვისაც რაიმე წინასწარი მოსაზრებებით არ უნდა ფაქტის წინაშე თვალების დახუჭვა, მისთვის ცხადია, რომ რუსეთი ემზადება ახალი ომისათვის და ამავე ჭაპანს აწევინებს თავის ორბიტაში მოქცეულ არა რუს ერებსაც. სხვანაირად აუხსნელია, რომ 7 მილიონიან ბულგარეთს ან 8 მილიონიან უნგრეთს მშვიდობიან აღმშენებლობით მუშაობისათვის 13 დივიზია სჭირდებოდეს, მაშინ ოდესაც 50 მილიონიან იტალიას და 40 მილიონიან საფრანგეთს უჭირს 12 დივიზიის გამოყვანა. მაგრამ ვარშავის ბლოკის და მათი ბატონი მოსკოვის სამხედრო ძალა ამით არ ამიწურება. **ლილანდ სტოუს*** ცნობით რუსეთმა შექმნა სატელიტებში თავის საიმედო პოლიცია, რომელიც შეიარაღებული და გაწვრთნილია სამხედრო ტექნიკის და მეცნიერების უკანასკნელ მიღწევებზე. ყოველი სატელიტი ქვეყნის პოლიცია შესდგება ხუთი განხრისაგან: 1. პოლიტიკური პოლიცია ნ.კ.ვ.დ.-ს ყაიდაზე. 2.საზოგადოებრივი მშვიდობიანობის, რომლისთვისაც სავალდებულოა სამხედრო ტანისამოსის ტარება. 3. სახალხო მილიცია. 4. რკინის გზის გვარდია და 5.მოსაზღვრე გვარდია. ამას თან ახლავს ე.წ. ეკონომიური პოლიცია, რომელიც თვალყურს ადევნებს ყოველგვარ წარმოებას. თუ მოვიგონებთ აგრეთვე, რომ ე.წ. „აღმოსავლეთ ევროპის კომუნისტური კავშირი“ სავსებით სამხედრო ორგანიზაცია არის, რომელსაც საუკეთესო სამხედრო წვრთნა აქვს გავლილი და ჰყავს 7 მილიონი წევრი, ამას გარდა ყოველ უნივერსიტეტში სავალდებულოა სამხედრო ლექციების მოსმენა. მაგ. პრაგაში კვირაში 12 საათია, ხოლო ვარშავაში 18, და ყოველწლიურად ორ თვიანი სამხედრო პრაქტიკული ვარჯიშობა. ამ ცნობების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ რუსეთმა უკანასკნელ ათ წელიწადში მთელი აღ. ევროპა კბილებამდე შეაიარაღა. ხოლო ფორმალურად სატელიტების 88 მილიონი მოსახლეობის სამხედრო და პოლიციური შეიარაღებული ძალა 15 მილიონამდე აღწევს (იხ. იქვე.) ე.ი. იარაღს ქვეშ არის დაყენებული მოსახლეობის 17% მეტი, რაც საომარი მდგომარეობის მაქსიმუმსაც აღემატება.

საკმარისია თავი მოუყარით ცალცალკე გამოპარულ ცნობებს და აღვადგინოთ სურათი იმისა, თუ 1945 წლიდან რომელ სატელიტ ქვეყანაში რა მიმართულების გზა-ტკეცილი, ან რკინის გზა იქნა გაყვანილი, რომ არა სპეციალისტის თვალისთვისაც ნათელი გახდეს მიზანი. რუსეთმა აღ. ევროპა გადასჭრა თავისი ყაიდის (ე.ი. უფრო ფართო) რკინის გზის ხაზით და მას შეუძლია შიდა რუსეთიდან დაუბრკოლებლად აგზავნოს ჯარი და იარაღი იტალიისა და იუგოსლავიის საზღვრამდე.

რუსული სამხედრო ექსპანსიის ყველაზე ცხად მაგალითს პატარა ალბანეთის ნაპირებზე ვხედავთ. როგორც ვიცით რუსეთი დიდი ხნიდან ცდილობს ხმელთაშუა ზღვაზე გამოსვლას და მათ მეფეებს არაფერი დაუზოგავთ რომ კონსტანტინეპოლი ხელში ჩაეგდოთ. ამავე პოლიტიკას აგრძელებს წითელი რუსეთი. მაგრამ ოსმალეთის და დასავლეთის ქვეყნების ენერგიული წინააღმდეგობის გამო, ვერც მეფის და ვერც კომუნისტურმა რუსეთმა ამას ვერ მიაღწია.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ რუსეთთან სამხედრო კავშირში შევიდა იუგოსლავია და ალბანეთი. ამით მოსკოვმა ხელთ იგდო საუკეთესო საზღვაო ბაზები ადრიატიკის ზღვაზე, როგორიცაა პოლა, სპალატო და კატარო. მაგრამ ტიტოსთან ურთიერთობის გართულების შემდეგ ჰკარგავს ამ შესაძლებლობას და მისი ყურადღება მიიპყრო ვალონას უბემ და სასონოს კუნძულმა. სასონო მიჩნეულია პირველ ხარისხოვან მნიშვნელობის სტრატეგიულ ადგილად და მდებარეობს პულიის ნაპირებიდან 20 კილ. მოშორებული. ეს არა მარტო კონტროლს უწევს მთელი ადრიატიკის ზღვის მოძრაობას, არამედ საუკეთესო ადგილია V2 სასროლად და მუდმივ საშიშროებაში აგდებს ინგლისის მალტას. აი ეს ადგილი გადაიქცა რუსეთის ავანპოსტად ხმელთაშუა ზღვაში და ცდილობენ ის გადააქციონ რუსულ გიბრალტარად.

„რუსეთს არ აკმაყოფილებს ქვეყნის ადმინისტრაციის დაპატრონება, მისი მატერიალური შესაძლებლობის დაუფლება. მას სურს დაეუფლოს თვით ადამიანს და დაიმორჩილოს მისი სული. რუსეთის დღევანდელი შეთქმულება ქვეყნიერების წინააღმდეგ, ყველაზე უფრო მრისხანე და საშიშია ვიდრე კაცობრიობის ისტორიას დღემდე უნახავს. წინდაწინ მოზომილი გეგმით, ნელი მაგრამ გარკვეული ნაბიჯით მიდის წინ. იპყრობს ჯერ უბანს, მერე პროვინციას, შემდეგ სახელმწიფოს და თუ არაფერმა შეაჩერა თავისუფალი კაცობრიობა შთაინთქება მის სიბოროტეში.“

და თუ კაცობრიობა მშვიდობიანობით, ან უკეთ რომ ვსთქვად მშვიდობიანობის აჩრდილით ჯერ ჯერობით მაინც სტკბება, ეს მხოლოდ იქამდე, ვიდრე რუსეთი დარწმუნებულია, რომ ატომური იარაღის უპირატესობა ჯერ კიდევ შ. შტატების მხარეზეა. თუ ამ მხრივ ძალთა გათანასწორება მოხდა მაშინ რუსეთს უკვე დაპყრობილი ექნება არა მარტო უბანი, პროვინცია და სახელმწიფო, არამედ დაეუფლება მთელ კაცობრიობასთან ერთად ადამიანს და მის სულსაც.

ეს თნაბრად ეხება, როგორც რუსეთის მიერ დაპყრობილი ერების ემიგრაციებს, ისე თავისუფლების მოყვარე დემოკრატიულ კაცობრიობას.

**დ. სინდიკელი**

* იხ. Leland Stowe, Conquest by Terror.

---

## დახვრეტები საქართველოში

ქართველების შეუბრალებელი ხოცვა-ჟლეტა რუსული ოკუპაციის პირველი დღიდანვე დაიწყო მაგრამ მას განსაკუთრებული ხასიათი მიეცა, როცა სტალინი ესტუმრა თბილისს და თავის „ძველ თანამებრძოლ“ მუშებთან საუბარი მოისურვა. შედეგით გაანჩხლებული ბოროტი სული იმავე საღამოს ქართული კომუნისტური პარტიის კრებაზე აცხადებს: „აქ ბევრი სარეველა ბალახი მოსულა და საჭიროა მისი გადახვნაო“ ამ სიტყვებს ძველი კომუნისტები მწუხარე დუმილით შეხვდნენ. გამოეხმაურა მხოლოდ ბერია და ეს დაედო კიდეც საფუძვლად მის კარიერას. მან კრემლის კარები ქართულ სისხლში ამოვლებული ხელით შეაღო.

ჯერ ხოცეს და მუსრი გაავლეს „კლასიურ მტრებს“: თავადებს, აზნაურებს, სასულიერო წოდებას , სამხედრო პირებს, ინტელიგენციას და შეძლებულ გლეხობას. შემდეგ მიჰყვეს ხელი თავიანთ პარტიულ ამხანაგებს. ზოგი მემარჯვენე და ზოგი მემარცხენე გადახრებისათვის, ტროცკიზმისათვის და ვინ დასთვლის

რამდენმა „იზმმა“ იმსხვერპლა ქართველთა სიცოცხლე.

აღსრულდა „ხალხთა მამაც“ და ბერიამ საკუთარი მდგომარეობის განსამტკიცებლად კვლავ რამდენიმე სისხლიანი წმენდა ჩაატარა თავის მშობლიურ ქვეყანაში. მაგრამ რუსული ნაციონალიზმის თავმოყვარეობამ თვით ბერიაც ვერ შეიწყნარა კრემლში და ისიც როგორც დასავლეთის თუ ამერიკული იმპერიალიზმის აგენტი მოსპეს, კრემლის რომელიღაც ჯურღმულში ჩაღრჩვეს. ამას თან მოჰყვა მოსკოვის მიერ მის მომხრეებად მიჩნეულთა ხოცვა-ჟლეტა. დაიწყო ჩვენი მშობლიური მიწის ხელახალი „გადახვნა“ და ამ შემთხვევაში გუთნად გამოყენებულია არა ქართული წარმოშობის ბერია, არამედ მოსკოვი მოქმედობს სრულიად ახდიხლად, საკუთარი ხელით და სახელით. საფიქრებელი იყო, რომ ბერიას ლიკვიდაციის შემდეგ მომხდარი დახვრეტების პერიოდი დასრულდა, მაგრამ ეტყობა მოსკოვს აღარ აკმაყოფილებს საქართველოს არც ტერიტორიალურად დაპყობა, არც მისი ადმინისტრაციული დამორჩილება, არც მისი ეკონომიური სახსრების დაუფლება და განზრახული აქვს ქართველი ერის სულსაც დაეუფლოს და ჩვენი მიწა-წყალი რუსული მოსახლეობის არედ აქციოს. სხვანაირად ძნელი ასახსნელია ორი წლის შემდეგ კვლავ ბერიას მომხრეთა აღმოჩენა და მათი დახვრეტა.

გასული წლის ნოემბერში რადიომ გვაცნობა, რომ თბილისში დახვრიტეს ექვსი კაცი ბერიას მომხრე: რაფავა, რუხაძე, წერეთელი და სხვანი. ჩვენ კარგად გვახსოვს ძველი წმენდები და ვიცით რომ საქმე მხოლოდ ექვსი კაცით არ შეიძლება გათავებულიყო და ამ ექვს კაცს ალბად ზედ მიჰყვა მრავალი ასი ან ათასი კაცის სიცოცხლე, რომელთა გვარების გამოქვეყნება მდგომარეობის ბატონებმა საჭიროდ არ დაინახეს.

ბერიაზე უფრო გვიან ხრუშჩოვ-ბულგანინმა დასცეს მალენკოვი, მაგრამ მისი მომხრეების დახვრეტებზე ჯერ არაფერი გაგვიგონია და თვით მალენკოვიც ცოცხალია. ეს მოვლენა შთამაგონებელი უნდა იყოს ყველასათვის ვინც ფიქრობს, რომ კომუნისტური რეჟიმი თანაბარი მრისხანებით ეპყრობა როგორც რუს ისე არა რუს მოსახლეობასო.

**ვ. სანგულია**

## აბრამ ლინკოლნი

„ქართული აზრის“ პირველი ნომრის მეთაურში წავიკითხე: „ამ მხრივ (მხედველობაშია შ. შტატების შესწავლა) ქართულ ლიტერატურაში დიდი ხარვეზია. ჩვენი გაზეთი ეცდება ამ ხარვეზის შევსებაშიც მონაწილეობა მიიღოს“ო.

ამ სიტყვებმა გამაბედინა კალამის ხელში აღება. მართლაც, არა მარტო საქართველოა უცნობი შ. შტატებისათვის, არამედ შ. შტატებიც უცნობია საქართველოსათვის. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ამერიკის გეოგრაფიულად არსებობის ცოდნას, იშვიათია ქართველი, რომელსაც ამ დიდ ერზე სწორი წარმოდგენა ჰქონდეს, რომელიც იცნობს მის ჰუმანიურ კონსტიტუციას და მის გმირულ ბრძოლებს, რომლებიც ამ ერმა თავისუფლებისათვის გადაიხადა და მისი მმართველობის წესი: „მთავრობა ხალხისა, ხალხისაგან და ხალხისათვის“ მისაბაძი გახდა მთელი კულტურული კაცობრიობისათვის. ამიტომ გაზეთის მიერ დასახული მიზანი სრულიად დროულად და გადაუდებლად მიმაჩნია. თუ შ. შტატებს დღემდე ჩვენი თავი ვერ გავაცანით, ეს მხოლოდ დაუდევრობით არ აიხსნება და ამას აქვს ისტორიული მიზეზები. ეს ერი სწორედ იმ ეპოქაში ჩაისახაა და დამკვიდრდა, როცა ჩვენ რუსეთმა მსოფლიოს გეოგრაფიულ რუქიდან ამოგვშალა. დიდი ახსნის შემდეგ, და ისიც თუ საქმე გაქვს განათლებულ ამერიკელთან გიპასუხებს: „ვიცი, ვიცი, ჯორჯია სამხრეთ რუსეთიაო“. ასევე ვართ ქართველებიც, უმრავლესობას მხოლოდ ზოგადი წარმოდგენა გვაქვს ამ დიდებული ქვეყნის წარსულსა და აწმყოზე. ამიტომ თქვენი გაზეთის იდეა, რომ ქართველ მკითხველებს მიაწოდოთ ამერიკის შესახებ მასალები მშობლიურ ენაზე, ფრიად მოსაწონია. მით უმეტეს ჩვენთვის, აქ ახლად თავშეფარებულებისათვის ეს საჭიროა, რადგან ჯერ ყველამ არ ვიცით ინგლისური ენა იმდენად, რომ ამ ენაზე გავეცნოთ ამერიკის ისტორიას, მის ლიტერატურას, მისი მოღვაწეების ნააზროვნებს და თავისუფლებაში ჩასახული ერის თავისუფალი ცხოვრების ფილოსოფიას.

რედაქციასაც და მკითხველსაც ვთხოვ ლმობიერებას ამ ჩემი პირველი ცდის გამო. თუ რიგიანად ვერ გავაშუქე, საკითხი მაინც დაყენებული იქნება და შეიძლება ჩემზე უკეთ მცოდნეებს აღეძრათ სურვილი მისი დამუშავებისა. ამით მეც კმაყოფილი ვიქნები. მეორე რამაც შეიძლება მკითხველის გაკვირვება გამოიწვიოს, ეს არის რატომ ვიწყებთ აბრამ ლინკოლნით, მეთექვსმეტე პრეზიდენტით და არა პირველით. ამ ფიქრმა მეც გამიელვა, მაგრამ ჩემი ნაბიჯი იმით გავამართლე, რომ მე ვწერ იმ თემაზე, რომელიც მიზიდავს და მომწონს. აბრამ ლინკოლნი — გარეგნულად უფრო ულამაზო ვიდრე მიმზიდველი „მეშეშე“ იქნებ იმიტომ მიზიდავს, რომ მის ტრაღედიაში ვხედავ მშობლიური ქვეყნის დიდი სახეების ტრაღედიასთან მსგავსებას. ჩვენი ქვეყნის უდიდეს მოჭირნახულე ილიას ჩვენვე ვესროლეთ ტყვია. დიდი მხედართმთავარი და სახელმწიფო მოღვაწე გიორგი სააკაძე ჩვენივე ინტრიგებით ვაიძულეთ უცხოეთში გაქცეულიყო და იქ დაიღუპა. რამდენია ჩვენს ისტორიაში შემთხვევა, რომ დიდ მოღვაწეებს შეუფერებლად ექცეოდნენ? ძალიან ბევრი.

ამერიკის ერთობილობის უდიდეს მოჭირნახულე აბრამ ლინკოლნსაც თავისივე თანამემამულემ ესროლა ტყვია. როგორც ილიას, ისე აბრამ ლინკოლნის უვიც მკვლელებმა ალბათ არ იცოდნენ, რომ უკვდავებაში გადასული ადამიანების მოკვლა შეუძლებელია.

სამოციან წლებში დაიძახა ილიამ: „ჩვენი თავი ჩვენვე უნდა გვეკუთვნოდესო“ და იმავე დროს გაისმა ლინკოლნის მქუხარე ხმა: „მე მწამს, რომ არის ღმერთი, რომელსაც ეზიზღება უსამართლობა და მონობა“ო.

რამდენი მსგავსებაა ერთ და იმავე პერიოდში დაბადებული და ერთსა და იმავე დროს სამოღვაწეო ასპარეზის მფლობელ ქართველ და ამერიკელს შორის: სამშობლოს უზენაესი ინტერესების უანგარო სამსახური, ეროვნული ერთობის და სახელმწიფოებრიობის დაცვა, და რომ „ადამიანები იბადებიან თანასწორნი“ და მათი უფლებებისა და სამართლიანობის დაცვა! შემდეგ ორივეს ერთნაირი ტრაღიკული ბედი!

იქნებ ეს მაერთებს აბრამ ლინკოლნთან, იქნებ ამიტომ არის რომ შევიყვარე და ჩემს პირველ ეტიუდს მას უძღვნი.

**არჩილ დონაური**

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

---

„არაფერი არ იწვევს ისეთ დიდ აღფრთოვანებას, როგორც წესი, რომლის საშუალებითაც ამერიკაში შესდგა თავისუფალი მთავრობა. ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა თავისუფალი მცხოვრებლები ბჭობდნენ მმართველობის ფორმაზე და ირჩევდნენ თანამოქალაქეებს —ვინც იმსახურებდა მათ ნდობას, — რათა მათ გადაეწყვიტათ მმართველობის საკითხი და მიეცათ მისთვის კანონიერი ძალა.“

**ჯეიმს მადისონ**

## ეკლესია საბჭოთა კავშირში

ცნობილმა იტალიელმა ჟურნალისტმა **ალფიო რუსომ** საბჭოთა კავშირში ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ გამოაქვეყნა მთელი რიგი წერილებისა, სადაც დაწვრილებით არის აღწერილი საბჭოთა ცხოვრების ყოველი დარგი. წერილები გამოქვეყნდა **„ილ რესტო დელ კარლინო“ში,** რომელთა შორის ერთი მიძღვნილია ეკლესიისათვის.

ავტორი აცხადებს, რომ მკაცრი ანტირელიგიური პერიოდის შემდეგ რეჟიმს ახალი ფორმა მოუძებნია სარწმუნოებასთან საბრძოლველად. „რელიგიასთან ბრძოლა უნდა ხდებოდეს მოთმინებით და მხოლოდ იდეოლოგიური საშუალებით, აქედან გამორიცხული უნდა იყოს ძალდატანება და რეპრესიები“ო, მაგრამ იქვე აღნიშნავს, რომ „სკოლაში, პიონერების და კომსომოლის ორგანიზაციებში სასტიკად აკრძალულია ღვთის მსახურება და გაძლიერებულია ანტირელიგიური პროპაგანდა. პარტიულ თუ სახელმწიფო ადმინისტრაციის მოხელეებს პირადობის მოწმობაში შეტანილი აქვთ კითხვა: მონათლა ეკლესიური წესით ბავშვი და დაქორწილდა ეკლესიაში თუ არა. ამ კითხვაზედ არის დამოკიდებული მისი თანამდებობის შენარჩუნება“ო.

შემდეგ ავტორი მოგვითხრობს, რომ „რამდენიმე კვირა მოსკოვში და ლენინგრადში ისე დავყავი, რომ მხოლოდ ერთი ღვდელი შემხვდა ქუჩაში და ისიც აღმოჩნდა გერმანელი, რომელიც სწირავს მოსკოვში არსებულ კათოლიკურ ეკლესიაში უცხოელ სტუმრების და დიპლომატებისათვის“ო.

რუსული ეკლესია, რუსი ღვდლით და რუსი მლოცველებით მას უნახავს ზაგორსკის კათედრალში. „მლოცველები ცოტა იყვნენ, უმთავრესად მოხუცი ქალები და რამდენიმე მოხუცი კაცი. ერთი სიტყვით ეკლესიაში მხოლოდ ისინი დადიან, ვისაც დასაკარგი აღარაფერი აქვს და ყველაფერი უკვე დაკარგესო“.

მაგრამ ფორმალურად ეკლესია მაინც არსებობს და რეჟიმი აქტიური ბრძოლიდან „იდეოლოგიურ საშუალებებზე“ გადავიდა. რა მოხდა? ავტორის ცნობით „კომუნისტებს სამღვდელოების მაღალ თუ დაბალ მსახურებში ჰყავთ გაწვრთნილი მოხელეები, რომელნიც ხანგამოშვებით ეკლესიებში ქადაგების დროს თავს ესხმიან რომის ეკლესიას, ამერიკულ და დასავლეთის იმპერიალიზმს და ჰგმობენ რუსეთის საწინააღმდეგო „აგრესიებს“. ამგვარად ეკლესია არის პოლიტბიუროს ერთ-ერთი საპროპაგანდო ორგანო. სხვანაირად წარმოუდგენელიც არის, რადგან რუსეთში არ არსებობს არც ქრისტიანული და არც მუსულმანური ღმერთი“ო.

## რას ამბობს ისტორია?

ტოტლებენის ღალატმა საქართველოში დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და ბუნებრივია, რომ რუსეთისადმი კრიტიკული განწყობილება გააძლიერა. ამ მიმართულებას სათავეში ჩაუდგნენ ამირსპასალარი ქართული ჯარებისა, სიძე თვით ერეკლე მეორისა დავით ორბელიანი და ვიცე კანცლერი სოლომონ ლეონიძე. როგორც გამოცდილ პოლიტიკოსს და დიდი ჭკუით დაჯილდოვებულ ადამიანს, თვით ერეკლესაც შეუძლებელია ამ მოვლენიდან შესაფერისი დასკვნები არ გაეკეთებინა. თვით ფაქტების ძალით მეფე იძულებულია აღიაროს, რომ რუსეთთან პატიოსნური კავშირის ცდა საქართველოსათვის ერთობ დამაზარალებელი აღმოჩნდა: 1774 წ. 24 აგვისტოს თარიღით რუსეთის პირველი მინისტრისადმი გაგზავნილ მიმართვაში ერეკლე აღნიშნავს, რომ რუსეთის მოკავშირედ ყოფნამ მას უაღრესად გაუმწვავა ურთიერთობა მუსულმან მეზობლებთან, კერძოდ ოსმალეთთან და სპარსეთთან და გარდა ამისა ომის წარმოება მას დაუჯდა 450 ათასი მანეთი (ოქროთი). რუსეთმა ამ საჩივარს ყურიც არ ათხოვა. (იხ. ს. კაკაბაძე, „საქართველოს ახალი საუკუნეების ეპოქა“, გვ. 121).

ერეკლე ნამდვილი რეალისტი იყო და ის მუდამ სახელმწიფოებრივი ინტერესებით ხელმძღვანელობდა, ამიტომ მისი საგარეო პოლიტიკა, პირობების შეცვლის გამო, უცვლელი ვერ დარჩებოდა. საშინაო ძალების რეორგანიზაციისა და ქვეყნისათვის ნორმალური განვითარების უზრუნველსაყოფად საქართველოს სჭირდებოდა ზავი. ამ მიზნის მისაღწევად მეფე საგარეო კავშირებს იმ მიმართულებით ეძებს, საიდანაც მეტი გარანტია მოსჩანს ტერიტორიის ხელუხლებლობისა და ხალხის კეთილდღეობის დასაცავად. ტერიტორიის დაცვა და ხალხის კეთილდღეობის უზრუნველყოფა—ეს არის, საერთოდ, პოლიტიკის მთავარი საგანი. ერეკლეს ეს მშვენივრად ესმის, ამიტომ, თუ საქართველო რუსეთიდან საჭირო დახმარებას ვერ მიიღებს, ქვეყანა ახალ, სხვა გზას მონახავს. ერეკლე ორიენტაციას იცვლის და კიდევ ერთხელ ცდილობს ოსმალეთთან შეთანხმებას მიაღწიოს. ეს მისი ცდა დიდი ჭკუისა და პოლიტიკური გამოცდილების მაჩვენებელია. პორტა კმაყოფილებით ეგებება ერეკლეს განზრახვას და თვით სულთანისაგან მას ძვირფასი საჩუქრები ერთმევა. ეს უნდა მომხდარიყო 1778 წ. (იხ. ს. კაკაბაძე, იქვე, გვ. 124). ამავე დროიდან იწყებს ერეკლე ევროპის მეფეებთან დაკავშირებას. ქართველი ელჩები ეწვევიან საფრანგეთის, ნეაპოლის, სარდინიის და ვენეციის მთავრობათ. ერეკლე თხოულობს დახმარებას ჯარით ან ფულით, და თავის მხრივ პირობას იძლევა გამოვიდეს მოკავშირედ სესხის მომცემი სახელმწიფოსი. მან იცის, რომ ეს ქრისტიანული სახელმწიფოები მხოლოდ რელიგიის დასაცავად თავს არ გამოიდებენ და ამიტომ ის უთითებს პრაქტიკულ სარგებელზე: სავაჭრო გზები, ბაზრები, და სპარსეთ-ოსმალეთის წინააღმდეგ მოკავშირე პირველ ხარისხოვანი საოპერაციო ბაზით. მიუხედავად ინტერესისა, რომელიც ამ წინადადებამ აღმოსავლეთთან ვაჭრობის გაძლიერებით დაინტერესებულ ქვეყნებში გამოიწვია, მისიიდან არაფერი გამოვიდა. მაშინდელ ევროპაში მანძილის სიდიდე გადამწყვეტი ფაქტორი იყო. ერეკლე გულს არ იტეხს და ახალ ელჩებს აგზავნის. ამჟამად ის მიმართავს ავსტრიის იმპერატორ იოსებ პირველს. დიპლომატიური მისიით იგზავნება კაპუცინების ორდენის ბერი დომენიკო, რომელიც დიდი ხნიდან ცხოვრობდა საქართველოში, დაახლოებული იყო მეფესთან და მისი სრული ნდობით სარგებლობდა. ერეკლეს გეგმით დომენიკოს უნდა გაევლო რომში, პაპისაგან სარეკომენდაციო ბარათი მიეღო და ასე წარდგომოდა იმპარატორს, საქართველოს მდგომარეობისა და ქართველი მეფის წინადადების გასაცნობად. ერეკლეს დესპანმა ევროპამდე ვერ მიაღწია: ის მოულოდნელად გარდაიცვალა კონსტანტინეპოლში. ეს უბედური შემთხვევა — შესაძლებელია თურქული დიპლომატიის აქტივობის ნაყოფი — ერეკლესათვის მეტად დამაღონებელი უნდა ყოფილიყო, რადგან დომენიკოს პირადი კავშირების გამო ამ მისიაზე ის დიდ იმედებს ამყარებდა. 1781 წ. ევროპისაკენ კიდევ ახალი დესპანი, ბერი მორო დე ვერონი იგზავნება. ეს ამბები რუსეთამდე აღწევს. ეკატერინა, — პოლიტიკური ალღოთი დაჯილდოვებული პიროვნება, — მაშინვე ითვალისწინებს მოსალოდნელ საფრთხეს და სასწრაფო ზომებს იღებს ერეკლე ევროპას ჩამოაშოროს. „იმპერატრიცა ფიქრობს —სწერს ვიცე კანცლერი, გრაფი ა. ბეზბოროდკო თავად გრ. პოტიომკინს, რომელიც ამ დროს კავკასიის „ლინიის“ მთავარსარდალი იყო, — თქვენი შუაკაცობით დასდოს ხელშეკრულება ქართველ მეფეებთან (ე.ი. ერეკლე და სოლომონთან) ისე რომ მათ ეწოდოს რუსეთის მოკავშირეები და არა ქვეშევრდომები. ამასთანავე ხელი შეუშალეთ მათ ყოველგვარ კავშირს ავსტრიის იმპერატორთან და სხვა სახელმწიფოებთან. უთხარით, რომ იმ მეფეებს დადებული აქვთ ჩვენთან პირობა, რომ ჩვენი მეზობელი ქვეყნების საქმეებში არ ჩაერიონ“. და ბრძანება ასე თავდება: „სიე სოიუზ ვესმა ნუჟენო, იბო იხ (გრუზინ) სოგლასიე უსილიტ ნაშუ ობორონუ“. (იხ. პროფ. ა. ცაგარელის „გრამოტები და სხ. დოკუმენტები“ ტ. II, ნაწ. II, გვ. 30-31).

თანახმად ამ ბრძანებისა, რუსულმა დიპლომატიამ ერეკლეს მიმართ ტონი იცვალა: წერილები და მიმართვები მოქარგულია ქათინაურებით და საქართველოს ბრწყინვალე პერსპექტივებს პირდებიან. გარდა ამისა, ჩრდ. კავკასია თითქმის მთლიანად უკვე რუსების ხელშია: 1735 წ. ყიზლარია რუსების მთავარი ბაზა; 1763 წ. არსდება ქალაქი და ციხე მოზდოკი, რომელიც დიდ გარნიზონს იტევს; არსდება ახალი ციხე-სიმაგრეები: გიორგიევსკი, სტავროპოლი და ეკატერინოდარი. 1799 წ. იპყრობენ ყაბარდოს. იმავე წელს განახლებულ და გამაგრებულ იქმნა ვლადიკავკაზი. 1782 წ. რუსეთი იპყრობს ყირიმს, ტამანის ნახევარკუნძულს და კუბანის მთელ მხარეს. ამ ადგილების დაპყრობით რუსეთმა მოიპოვა უფლება შავ ზღვაზე ნაოსნობისა და საქართველოს ზღვითაც მოუახლოვდა. ყველა ეს ფაქტები ცხადად მოწმობდა, რომ საქართველო უკვე მოქცეული იყო რუსეთის ყურადღების ცენტრში და ახლო მომავალში საკითხი საბოლოოდ უნდა გადაწყვეტილიყო. ყველა ეს ზომები გარკვეულად ერთ მიზანს ემსახურებოდა: სამხრეთში და აღმოსავლეთში ახალი ქვეყნების დაპყრობას. რუსეთის გავლენის სამხრეთისაკენ გასავრცელებლად, ცხადია, აუცილებელი იყო საქართველოს ტერიტორიის რუსული პოლიტიკის სფეროში მოქცევა. რუსეთის დაპირებები იზრდება. ერეკლეს ჰპირდებიან ყველა იმ მიწებს, რომლებიც ადრე საქართველოს ეკუთვნოდა და ამჟამად ოსმალეთს ეჭირა. რუსეთის მთავრობის წერილები სავსეა ერეკლეს მიმართ მოწიწების სიტყვებით და მომხიბლავი პერსპექტივებით (იხ. ა. ცაგარელი, ტ. 2, ნაწ. 2, გვ. 142). 1782 წ. დამლევს ჩრდ. კავკასიაში დგას რუსების 23 ქვეითა ბატალიონი, დრაგუნების 20 ესკადრონი, არტილერიის 4 კომპანია, დონის ყაზახების 4 პოლკი და 10 ათასამდე კალმიკი (იხ. პოტო, ტ. 1 გვ. 156). მთელი ეს ძალა ამჟამად სრულიად გარკვეულ მიზანს ისახავს. ეს მიზანი ერეკლესთვის ცხადია. ამ მოვლენისათვის ანგარიშის გაუწევლობა შეუძლებელი იყო. პოლიტიკაში შექმნილი მდგომარეობა, როგორც ვიცით, გადამწყვეტ როლს თამაშობს. მოვლენათა განვითარება ზოგჯერ მოკავშირეებს მტრებად აქცევს და გუშინდელ მტრებს მოკავშირეებად. ამას ჩვენს დროში ვხედავთ გერმანია ამერიკის მაგალითზე. ეს კანონები ერეკლეს დროსაც ძალაში იყო. მას არჩევანი არ ჰქონდა. გონიერე

## რუსულ ემიგრაციაში

ბ-ნი ტოკაევი განაგრძობს: „რევოლუციის შემდეგ სტალინი იყო ეროვნებათა კომისარი და ის ყოველთვის რუსების წინააღმდეგ გამოდიოდა და მათ სახავდა, როგორც სხვა ეროვნებების მტრებსო“. ჩემის ფიქრითო, — დასძენს ტოკაევი — ეს მისი (ე.ი. სტალინის) პოლიტიკური მიმართულება დღესაც პატარა როლს არ თამაშობსო.

სრული ჭეშმარიტებაა, რომ რევოლუციის შემდეგ სტალინი ეროვნებათა სახალხო კომისარი იყო. მაგრამ არასოდეს არც ერთ პერიოდში მას არ უღალატია რუსული „ველიკოდერჟავული“ მიზნებისათვის და მთელი თავისი ენერგიით ემსახურებოდა მეფის დროინდელი იმპერიის აღდგენას. ფორმალურად წითელი დროშით, ნამგალითა და ჩაქუჩით და ინტერნაციონალურ კოსმოპოლიტური იდეებით, მაგრამ ეს ფაქტს არა სცვლის. მრავალ შემთხვევაში პოლიტბიუროს დაუკითხავად, სტალინის პირადი ინიციატივით ხდებოდა ამა თუ იმ პატარა ერის დაპყრობა. პოლონეთის საწინააღმდეგო ლაშქრობის ერთი მთავარი ინიციატორი და მომქმედი ჯარის პოლიტიკური კომისარი სტალინი იყო. საქართველოზე ლაშქრობის ბრძანება სტალინმა გასცა და თუ დაუჯერებთ იმ დროინდელ სამხედრო კომისარ ლ. ტროცკის, იდეაც და პრაქტიკაც მხოლოდ სტალინისა ყოფილა. რუსის ჯარის საშუალებით მან დაამხო თავისი მშობლიური ქვეყნის დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ცხოვრება და საქართველო ხელახლა რუსეთის პროვინციად აქცია. ამაში ხედავს ბ-ნი ტოკაევი სტალინის ქართველობას და რუსეთის საწინააღმდეგო მოქმედებას?

„როდესაც სტალინი ხელისუფლებაში მოვიდა, მან თავის გარშემო შემოიკრიბა არა რუსები, არამედ თავისი „ზემლიაკებიო“ ამბობს ტოკაევი. იქნებ ბ-ნმა ტოკაევმა მიგვითითოს ერთ მაგალითზე, თუ რომელი „ზემლიაკი“ დანიშნა სტალინმა რუსეთში მაღალ „პოსტზე“, გარდა ბერიასი, რომელზედაც ქვემოდ ვილაპარაკებთ. იქნებ ტოკაევს მხედველობაში ჰყავს ორჯონიკიძე და ენუქიძე? ტოკაევისა და მის მსგავსთა საყურადღებოდ ვიტყვით, რომ არც ორჯონიკიძე და არც ენუქიძე სტალინის დანიშნულები არ იყვნენ. ისინი თავიდანვე ლენინის მომხრეები იყვნენ და მისი ახლო თანამშრომლები. თვით სტალინის თქმით რევოლუციური ნათლობა მას ა. ენუქიძის ხელმძღვანელობით მიუღია. მაშასადამე ენუქიძე სტალინამდე ყოფილა რევოლუციონერი და ლენინისებური რევოლუციონერი და ამიტომ, ლენინის გამარჯვების შემდეგ მას სტალინის დანიშვნა არ დასჭირდებოდა. მიუხედავად ამ „ნათლიობისა“ სტალინმა ა. ენუქიძე არ დაინდო და დახვრიტა.

მეორე სტალინის „ზემლიაკი“ ორჯონიკიძე რევოლუციამდე იყო ლენინის ახლო თანამშრომელი და ხანგრძლივად იყო კავშირის კაცი ლენინსა და პეტერბურგს შორის (ლენინის ევროპაში ყოფნის დროს). ამ სიახლოვით აიხსნება, რომ ლენინმა მას „სამხრეთ რუსეთის კომისრობა“ უბოძა. ხოლო კავკასიის და კერძოდ საქართველოს დაპყრობის შემდეგ ის დიდ ხანს იყო მოსკოვის საგანგებო კომისარი და დიდი სიმკაცრით იცავდა რუსეთის ინტერესებს ამ მხარეში, რამაც თვით ლენინს ათქმევინა: „ველიკოდერჟავული დერჟი მორდააო“. თვით ეს გამოთქმა ნათელყოფს სერგო ორჯონიკიძის ეროვნულ ფიზიონომიას.

„როდესაც იაგოდა აღმოჩნდა ხალხის მტერი, სტალინმა საბოლოოდ დაკარგა რუსების ნდობა. არც ერთი დასახელებული რუსის კანდიდატურა არ მიიღო მხოლოდ იმ მოსაზრებით, რომ რუსები იყვნენ. სამაგიეროდ მან საქართველოდან გამოიწერა თავისი „ზემლიაკი“ ბერია და ის დასვა შინსახკომის მეთაურადო“. აქ ან უვიცობასთან გვაქვს საქმე და ან სიცრუესთან. ვერავითარი ჟინიანობა ვერ ამოშლის ისტორიიდან „ეჟოვშჩინას“. არც იაგოდა და არც მისი წინამორბედები რუსები არ იყვნენ. სწორედ იაგოდას შემდეგ და სწორედ სტალინის ბრძანებით დაჯდა შინსახკომის ტახტზე ეჟოვი, ჯალათთა შორის ყველაზე საშინელი ჯალათი და სისხლისმსმელი სვავი. ამ დროს ბერია საქართველოში იჯდა და იქ მეთაურობდა სისხლიან წმენდებს, შეიძლება „უფრო მეტი სიმკაცრით ვიდრე საბჭოთა კავშირის რომელიმე სხვა კუთხეშიო“, სწერს ბ-ნი ნიკოლაევსკი. ამ სიმკაცრით და შეუბრალებლობით დაიმსახურა ბერიამ მოსკოვის ყურადღება და როდესაც „მავრმა თავისი საქმე გააკეთა“ და საჭირო იყო ეჟოვის მოშორება, მაშინ მიიწვიეს ბერია და არა იმიტომ რომ ის იყო სტალინის „ზემლიაკი“, არამედ იმიტომ, რომ ხელები უკვე ამოვლებული ჰქონდა ქართველ მამულიშვილთა სისხლში და შეუბრალებელი ჯალათის სახელი დამკვიდრებული.

მარტო რუსულ უინიციატივობას შეეძლო აეტანა ეჟოვიც და ბერიაც. საქართველოდან მისმა გაწვევამ გაახანგრძლივა მისი სიცოცხლე, თორემ იქ, ჩვენს სამშობლოში მისი განაჩენი უკვე გამოტანილი იყო. პირველ ქართულ ტყვიას, რომელიც მას ესროლა სამოცი წლის მოხუცმა ბუჯიაშვილმა, ის შემთხვევით გადაურჩა და სხვას გაუგმირა გული. ეჭვი არ არის ბუჯიაშვილის განზრახვას მემკვიდრეები გაუჩნდებოდნენ, მაგრამ ჯალათმა გაასწრო რუსეთში. „სტალინური რეაქციის წლებში (1935—38) პროცენტულად ყველაზე მეტი დაიხვრიტა სუფთა რუსულ რაიონებშიო“ — ბრძანებს ბ-ნი ტოკაევი. პირველ ყოვლისა საკითხავია, საიდან იცის ეს მან? ყოველი ობიექტიური მეთვალყურე სულ სხვას ამტკიცებს და სახელდობრ, რომ პროცენტულად სწორედ არა რუს მოსახლეობას გაავლეს მუსრი. ამავე დასკვნამდე მიგვიყვანს მდგომარეობის ობიექტიური ანალიზი. შიდა რუსეთში სტალინი ხვრეტავდა მხოლოდ თავის სავარაუდო კონკურენტებს და მათ გამოჩენილ მხარის დამჭერებს, როგორიც იყო ტროცკისტების და ზინოვიევ-ბუხარინის ჯგუფი. არა რუს მოსახლეობაში და კერძოდ საქართველოში ხალხი იხვრიტებოდა გარდა „პარტიული ქიშპისა“ ეროვნული „გადახრების“ გამო. ქართველ კომუნისტთა შორის 1921 წელსვე იჩინა თავი ამ „ეროვნულმა გადახრამ“, რომელსაც ძველმა კომუნისტმა ცერცვაძემ ერთგვარი ფორმულა მისცა და განაცხადა: „უდიდესი ცილის წამება იქნება მარქსისა თუ ვინმე იტყვის, თითქოს მას ეთქვას რუსობა და სხვა ერები საქართველოში უნდა გაერთიანდნენო.“ ამ ეროვნულ „გადახრას“ შეეწირა ქართველი კომუნისტების მთელი ძველი ლიდერობა და ისინი მოსპო და გაანადგურა სწორედ ბერიამ, რა თქმა უნდა სტალინის ბრძანებით.. მათთან ერთად გაანადგურეს ქართული ინტელიგენციის საუკეთესო და უდიდესი ნაწილი. საქართველო იცხრილება ქართველებისაგან ხან ქართველი ბერიას და ხან სეროვის ხელით. მიზანი მუდამ ერთია: საქართველოს რუსულ სამკვიდროდ გადაქცევა. სტალინ-ბერიას ბატონობის ხანა საბჭოთა კავშირის არც ერთ მხარეს ისე ძვირი არ დაჯდომია, როგორც საქართველოს და ამას ჰქონდა არა მარტო პოლიტიკური არამედ ფსიქოლოგიური მიზეზებიც: რუსეთის ბატონისათვის უხერხული იყო გამხელა რომ სწორედ მისი სამშობლო არ ენდობოდა და ებრძოდა მას. ეს იყო მისი თავმოყვარეობისათვის დიდი შეურაცყოფა და ამიტომ რათაც არ უნდა დაჯდომოდა ქართველების წინააღმდეგობა უნდა ჩაეკლა. ამიტომ სტალინის ტერორი საქართველოში ბევრად უფრო მასიური და შეუბრალებელი იყო ვიდრე სხვაგან.

ჩვენ ასე ვრცლად არ შევეხებოდით ბ. ტოკაევის წერილს, რომ ეს არ **იყოს** რუსული ემიგრაციის მიერ უცხოელთა მოსატყუებლად, ასე ვთქვათ საექსპორტოდ დამუშავებული აზრი, თითქოს ბოლშევიზმი ციდან ჩამოვარდნილი მოვლენაა და არა რუსული ბუნების ნაყოფი, რუსულ მიწაზე ნახარი, რუსული საზრდოთი ნასაზრდოები, რუსული ხიშტით განმტკიცებული და დაცული, და თითქოს მისი სიმკაცრე ქართველების სტალინ-ბერიას ეროვნული თვისების გამომჟღავნებაა და არა თვით კომუნიზმის ბუნება.

ეს არის რუსი იმპერიალისტების პოლიტიკური მანოვრი და ამ ყაიდის შაირებში ერთი მეორეს ეჯიბრება ყოველი მიმართულების რუსული ორგანიზაცია. ჩვენ ღმერთმა დაგვიფაროს რომელიმე ერის, და მათში რუსის ერის სიძულვილისაგან. მაგრამ ამასვე მოვითხოვთ ჩვენს მიმართაც. ხოლო თუ ჩვენი თვით არსებობისათვის ბრძოლა რუს პოლიტიკურ ორგანიზაციებს აანჩხლებს, მათ უნდა მოვაგონოთ, რომ „შაპკამი ზაკიდაემ“-ის ეპოქა კულტურული კაცობრიობისათვის დასრულდა და რუსული პოლიტიკის მეთაურები ან უნდა ამაღლდენ დემოკრატიული პრინციპების გაგებამდე და ნების მიერად მიიღონ ის, ან თავისუფლების მოყვარული დემოკრატიული ქვეყნები ამ საკითხს რუსების სურვილის წინააღმდეგ გადასწყვეტენ.

**ს. კაიშაური**

---

„ქართული აზრის“ წინა ნომერში დაბეჭდილმა სტატიამ, სადაც ბ. ალ. ცომაია აგვიწერს ერეკლე მეორის ერთ ბრძოლას, აღმიძრა ამ ლექსის დაწერის სურვილი. ვუძღვნი ქართველ ვაჟკაცებს.

### ჩვენც შვილები ვართ კახისა!

ქართველო! უცხოეთშია
რად დაგიყრიათ ფარიო?
სამშობლოს გაჭირვებულსა
ცრემლით სავსე აქვს თვალიო.

აწმყო იმედებს გიკარგავთ?
დროა ახილოთ თვალიო,
პატარა კახის ნაქონი
მაღლა ავწიოთ ხმალიო!

გაბასვრა მას არ სჭირდება
ნაწთობი არის ომშია,
არ ეკარება მას ჟანგი
არც წვიმაში და არც თოშშია!

აბა რად გვინდა ვინახოთ
ეს იარაღი მჭრელიო,
ვინა ჰყავს მეტი სამშობლოს,
ჩვენ უნდა ვიყოთ მხსნელიო!

კვლავ იმის რწმენით ავივსოთ
გმირი რომ იყო ქართლისა,
წავბაძოთ იმის მარჯვენას
ჩვენც შვილები ვართ კახისა!

**ჯოლიხეველი**

---

ბა მოითხოვდა კარზე მომდგარ დიდ რეალურ ძალასთან საერთო ენა გამონახულიყო. მეფემ ყოყმანის შემდეგ დასძლია წარსულის მწარე გამოცდილებით აღძრული იჭვები და რუსებთან კვლავ მოლაპარაკებაში შევიდა. პირველი მისი დიპლომატიური აგენტი —კარის ექიმი რეინეგსი — 1782 წ. შემოდგომაზე ბრუნდება თბილისში და აცნობს მეფეს თავად პატიომკინის პირობებს. ეს პირობები უკეთესი აღმოჩნდა ვიდრე წინასწარ ვარაუდი შეიძლებოდა. პატიომკინი აგულიანებს ერეკლეს აღძრას ფორმალურად შუამდგომლობა და თავის მხრივ აღუთქვამს ყოველგვარ დახმარებას — იმპერატრიცას ზემოდ მოყვანილი ბრძანება რუსეთის ჯარის მთავარსარდალს, რა თქმა უნდა დავიწყებული არ ჰქონდა. პირველი კონტაქტისა და გამამხნევებელი პასუხის შემდეგ ერეკლე აგზავნის სრულუფლებიან წარმომადგენლებს. საქართველოს რწმუნებულებად იგზავნებიან: სიძე ერეკლესი, ქართული ჯარების მარცხენა ფრთის სარდალი თავადი ივანე კონსტანტინეს ძე ბაგრატიონი მუხრან ბატონი; მეფის გენერალ ადიუტანტი და მმართველი ყაზახისა თავადი გარსევან რევაზის ძე ჭავჭავაძე. მათ ახლდათ რუსულის მცოდნე, ცნობილი სასულიერო მოღვაწე, არხიმანდრიტი გაიოზი. მოლაპარაკება შეთანხმებით სრულდება და 24 ივლისს 1783 წელს, დაბა გიორგიევსკში ორივე მხარის წარმომადგენლები ხელ აწერენ რუსეთ-საქართველოს სამეგობრო ტრაკტატს.

ამ ტრაკტატით ქართლ-კახეთის მეფე აღიარებს რუსეთის იმპერატორების უზენაესობას და თავის სამეფოს მათი მფარველობის ქვეშ აყენებს. თანახმად ამ ძირითადი დებულებისა ერეკლეს მემკვიდრეები ტახტზე ასვლის შემდეგ მოვალენი არიან რუსეთის იმპერატორისაგან დამტკიცება და ინვესტიტურის ნიშნები გამოითხოვონ. გარეშე სახელმწიფოებთან ურთიერთობა უნდა ხდებოდეს რუსეთის მთავრობასთან შეთანხმებით. ქართველი მეფე, როგორც მოკავშირე მოვალეა რუსეთს ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინოს და საჭიროების დროს ჯარითაც მიეშველოს. თავის მხრივ რუსეთი კისრულობს დაიცვას ქართლ-კახეთის ტერიტორია გარეშე ძალების თავდასხმისაგან და აგრეთვე ხელი შეუწყოს იმ ტერიტორიების შემოერთებას, რომელნიც ადრე საქართველოს ნაწილს შეადგენდენ. ქვეყნის საშინაო საქმეებში რუსეთი არ ერევა: ჯარი, ადმინისტრაცია, სასამართლო, ფინანსები, გადასახადები და სხვ. ძველებურად ქართველი მეფის კომპეტენციაში რჩება. რუსეთი კისრულობს აგრეთვე სამეფო ტახტის ბაგრატიონთა მემკვიდრეებისათვის დაცვას. დამოუკიდებელი რჩება ქართული ეკლესია. ქართველი მეფის კარზე ინიშნება რუსეთის სრულუფლებიანი მინისტრი. ქართველებსაც საკუთარი მინისტრი ეყოლებათ რუსეთის კარზე და სხვ. და სხ. ხელშეკრულება შესდგება 13 მუხლი და 4 დამატებითი პუნქტისაგან. ასეთია შემოკლებით ამ ხელშეკრულების შინაარსი. მე აქ მოვიყვანე მთავარი მუხლების შინაარსი.

ხელშეკრულებამ რუსეთის მეთაურობაში დიდი სიხარული გამოიწვია. იმპერატრიცა სწერს პატიომკინს: „გუშინ მივიღე შენი 5 ამ თვის წერილი და ქართული ხელშეკრულება, რაზედაც კიდევ ერთხელ მადლობა. ჩემი ნამდვილი გულითადი მეგობარი ხარ! აი, დიდებული რამე, გაკეთებული მოკლე დროში! ევროპის შურს მე სრულიად დამშვიდებული უყურებ. იბუზღუნონ, ჩვენ-კი საქმეს ვაკეთებთ“. (იხ. ნ. დუბროვინი ტ. 2, გვ. 11).

კმაყოფილმა დედოფალმა უხვად დააჯილდოვა ყველა მონაწილე ამ საქმისა: გენერალ პორუჩიკ პავლე პატიომკინს ებოძა ძვირფასი თვლებითა და ეკატერინას სურათით შემკული ოქროს პორტსიგარი და 6 ათასი მანეთი, ხოლო მისმა თანამშრომლებმა თითომ 2 ათასი მანეთი და წარჩინება მიიღეს (იხ. იქვე).

ტრაკტატი პეტერბურგში 17 აგვისტოს ჩაიტანეს. ეკატერინეს ისე ეჩქარება მისი რატიფიკაცია, რომ სამ დღეში, 20 აგვისტოს, სასახლის საზეიმო დარბაზში, ყველა ელჩებისა, მინისტრებისა, დიდი მოხელეებისა და სახელმწიფო საბჭოს წევრთა თანდასწრებით ის ხელს აწერს და ამით ამტკიცებს ხელშეკრულებას. თბილისში-კი ხელშეკრულების რატიფიკაცია მოხდა ხელმოწერიდან ხუთი თვის შემდეგ, 23 იანვარს 1784 წელს.

ამ ხელშეკრულების იურიდიული გარჩევა ბევრ სპეციალისტსა აქვს დაწერილი. საერთაშორისო უფლების ყველა ევროპიელი სპეციალისტის აზრით ეს არის ტიპიური ტრაკტატი ფორმალური პროტექტორატის, რომლის შედეგად ქართლ-კახეთის სამეფოს **სუვერენობა** იზღუდება, მაგრამ თვით სახელმწიფო განაგრძობს არსებობას, ტახტზე კანონიერი მემკვიდრეები რჩებიან მეფედ და შინაური მმართველობის საქმეებში პროტექტორი არ ერევა: „ჩვენს წინაშეა საერთაშორისო ხელშეკრულება დადებული ორ სრულუფლებიან სახელმწიფოს შორის და საერთაშორისო უფლების ორ სუვერენულ პიროვნებას შორისო“ — ამბობს პარიზის უნივერსიტეტის საერთაშორისო უფლების პროფესორი ლუი ლე-ფური. ამავე აზრის არიან ყველა სხვა იურისტები. მაშასადამე, ერეკლე იზღუდებოდა საგარეო პოლიტიკაში, მაგრამ საშინაოში რჩებოდა სუვერენად. ჩვენს დროში დადებული ხელშეკრულებებიც ზღუდავს მოკავშირის საგარეო პოლიტიკას. ასე მაგალითად, ატლანტიკის თუ სხვა კავშირებში შემავალი დიდი თუ მცირე სახელმწიფოები მოვალენი არიან საგარეო პოლიტიკა აწარმოვონ შეთანხმებულად. რუსეთს ეს პირობა რომ შეესრულებინა სუვერენობის ასეთი შეზღუდვა დიდი უბედურება არ იქნებოდა, მაგრამ სინამდვილეში მოხდა სულ სხვა რამ, მაგრამ ამაზე ქვემოდ.

რუსეთ-საქართველოს ტრაკტატმა სპარსეთსა და ოსმალეთში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ამ ქვეყნებმა სავსებით სწორად გაითვალისწინეს მათთვის მოსალოდნელი საფრთხე და ამ დროიდან ყოველგვარ ხერხს მიმართავდნენ ამ კავშირის ჩასაშლელად. განსაკუთრებულ აქტივობას სპარსეთი იჩენდა. 1781 წ. ახალი დინასტიის — ყაჯარების წარმომადგენელი, საჭურისი აღა მაჰმად ხანი ძლიერდება გილიანის მხარეში და აქედან მეთოდიური და სასტიკი ბრძოლებით გზას იკაფავს მთელი სპარსეთის მბრძანებლობამდე. 1785 წ. მან აიღო თეერანი. შემდეგ სძლია მთავარ კონკურენტ ჯაფარ ხან ზენდს და დაიპყრო ირაყი და აზერბეიჯანიც. 1790-92 წლებიდან ის უკვე ნამდვილი ბატონია სპარსეთის დიდი იმპერიისა და ამ დროიდან რუსეთის მიმართ მტრულ ზრახვებს აღარ ფარავს. პირველ რიგში, როგორც მოსალოდნელი იყო, აღა მაჰმად ხანი ცდილობს ამიერ-კავკასია და საქართველო ჩამოაშოროს რუსეთს. როგორც ეტყობა, პირველ ხანებში ის ერეკლესთან ომს ერიდებოდა. მეფეს ის დიდი პატივისცემით იხსენიებს: „ერეკლე ხანი დიდი ნადირის სკოლაშია გაწვრთნილიო“ და ცდილობს მასთან ურთიერთობა არ გაამწვავოს. მისი მოციქულების ტონი მეგობრულია: „რუსებს თავი დაანებე და ჩვენი მეგობრობა საუკუნით ურყევი იქნებაო“ — უთვლის ერეკლეს ზიატ ხანის პირით. გარდა მეგობრობისა პირდება განჯას, ერევანს, ყარაბაღს, შაქს, შირვანს და მთელ ადერბეიჯანს (იხ. ბუტკოვი, ტ. 2, გვ. 337 და მ. ბროსსე ტ. 2, გვ. 259)

ამ წინადადებაზე შეუძლებელია მეფე არ დაფიქრებულიყო. რამდენად მომხიბლავი უნდა ყოფილიყო მისთვის ეს პერსპექტივა! ერთბაშად იბრუნებდა დაკარგულ ტერიტორიებს და ამერ-კავკასიაში ბატონდებოდა. მაგრამ როგორ ეღალატა რუსეთისათვის მიცემული სიტყვისათვის, ხელმოწერილი და ფიცით განმტკიცებული პირობისათვის? რაინდის ბუნება ამას ვერ იკადრებდა, მეფე დადებულ ფიცს ვერ უღალატებდა! ერეკლეს სპეტაკი სინიდისი, მაღალი მორალი, სამართლიანობის მოტრფიალე გონება პირობის დარღვევას და ღა-

## რუმინიის საელჩოს ოკუპაცია ბერნში

სწორედ ერთი წლის წინ, ე.ი. 1955 წლის თებერვლის 14 დან 15-ს, რუმინიის საელჩოს ბერნში (შვეიცარია) თავს დაესხა შვიდი შეიარაღებული რუმინელი. მათ სრულიად თავისუფლად დაიკავეს საელჩო, რადგან წინააღმდეგობა გაუწია მხოლოდ აურელ სეტუმ, რომელიც ასრულებდა ელჩის მოვალეობას.

გამოირკვა, რომ აურელ სეტუ, პროფესიით შოფერი, სხვა და სხვა დროს და სხვა და სხვა შემთხვევებში ცხოვრობდა პეტრესკუს, დამიანუს და გეორგიევსკის გვარით და იყო კომინფორმის საიდუმლო სააგენტოს მეთაური დასავლეთში. თურმე მხოლოდ მას ჰქონდა უფლება გაეხსნა კომინფორმიდან მიღებული დიპლომატიური ფოსტა და მის ხელში იყო არქივის და ლეგაციაში არსებული ოთხი რკინის ყუთის გასაღები, სადაც ინახებოდა საიდუმლო საჯაშუშო დოკუმენტები.

რუმინელმა პატრიოტებმა, მოიშორეს რა თავიდან ეს სახიფათო ჯაშუში, აუჩქარებლად მიჰყვეს ხელი რკინის ყუთებისა და არქივის გადასინჯვას. აღმოჩნდა ორიგინალური დოკუმენტები კომინფორმის საჯაშუშო ორგანიზაციების მოქმედებისა. დამტკიცდა რომ საელჩო აწარმოებდა კონტრაბანდას და კონტრაბანდისტების საშუალებით რკინის ფარდის იქით აგზავნიდა სტრატეგიული მნიშვნელობის საქონელს, რომელიც ლეგალურად არ შეეძლოთ შეეძინათ და, ალბათ ასეთი საქმიანობის ხარჯებისათვის, **სამ მილიონამდე დოლარი.** დოკუმენტების გადასინჯვის შემდეგ, შვიდი კაციდან ორი ჩაჯდნენ თავიანთ „შევროლეში“, რომლითაც წინა ღამით მიადგნენ საელჩოს და წაიღეს საინტერესო დოკუმენტები, თავისუფალი მსოფლიოს საყურადღებოდ და თვალის ასახელად. დასავლეთის კომუნისტურმა და პროკომუნისტურმა პრესამ, რასაკვირველია, დასცა ყიჟინა, რომ რუმინიის საელჩოს თავს დაესხნენ ფაშისტებიო (ე.წ. რკინის გვარდია).

მკითხველს მოვაგონებთ, რომ რუმინელ ნაცისტ-ფაშისტების ორგანიზაციის ლიდერმა ნიკოლა პატრასკუმ 1944 წ. აგვისტოს 23-ს კომუნისტებთან „თანამშრომლობისა და მეგობრობის“ ხელშეკრულება დასდო. ამის შედეგი იყო, რომ „რკინის გვარდიის“ ცნობილი მოღვაწე ვიკტორ ვოჟენი დიდხანს იყო ანა პაუკერის სამინისტროს მდივანი, ხოლო შემდეგ სრულ უფლებიანი ელჩი იტალიაში.

როგორც საზოგადოდ დიქტატორულ პარტიებში მიღებულია, (გავიხსენოთ გერმანიის მაგალითი ჰიტლერის დროს) რუმინიაშიც ნაცისტ-ფაშისტური პარტიის მასა და მეთაურების დიდი ნაწილი შეუერთდა „გამარჯვებულ კომუნისტურ პარტიას“ და დღევანდელ ანტიკომუნისტურ მოძრაობასთან მას არაფერი აქვს საერთო. ანტიკომუნისტურ მოძრაობას ხელმძღვანელობს ეროვნულ გამანთავისუფლებელი კომიტეტი, რომელიც აერთიანებს რუმინიის დემოკრატიულ არალეგალურ პარტიებს; ამ უკანასკნელებში მთავარ როლს თამაშობს გლეხთა პარტია და ლიბერალური. მეორე ძლიერი ორგანიზაცია, რომელიც ამავე ცენტრის მიერ არის შექმნილი და მხარდაჭერილი, არის „თავისუფლების პარტიზნების“ ორგანიზაცია. სწორედ ამას ევალება პრაქტიკული საქმიანობისათვის თავგანწირული მამულიშვილების თავმოყრა და მათი გაწვრთნა. ამბობენ, რომ ამ ორგანიზაციას ჰყავს ოც ათასამდე კარგად გაწვრთნილი მებრძოლიო. ბერნის საელჩოზე თავდამსხმელები სწორედ ამ ორგანიზაციის წევრები ყოფილან, სპეციალურად ამ საქმისათვის გაწვრთნილები და გამოგზავნილები.

ბერნის საელჩოში აღმოჩენილი დოკუმენტებით მტკიცდება, რომ საელჩო მთლიანად იყო კომინფორმის განკარგულებაში და თვით ელჩი, კომინფორმის დიდი მოღვაწე. მის მოვალეობაში შედიოდა დასავლეთის თავისუფალ ქვეყნებში კომინფორმის საჯაშუშო ორგანიზაციების მოწყობა და ხელმძღვანელობა.

როგორც ვიცით კომინფორმი დაარსდა 17 ნოემბერს 1947 წ. და მისი პირველი სადგომი იყო ბელგრადი, მაგრამ სტალინ-ტიტოს უთანხმოების გამო ბუქარესტში გადაიტანეს და მას შემდეგ იგი მთლიანად დაეუფლა, როგორც მთელ რუმინეთს, ისე მის საზღვარგარეთელ საელჩოებს.

## წერილები რედაქციის მიმართ

პატივცემულო ბ-ნო რედაქტორო,

უდიდესი სიხარული განვიცადე „ქართული აზრის“ გამოცემის გამო. მოწყვეტილი მშობლიურ მიწას, უცხოელთა შორის მყოფი ქართველი მშობლიურ ენაზე გაეცნობა მოვლენების დაფასებას და გაიგებს თუ რას ფიქრობს ქართული ემიგრაცია. განსაკუთრებით აღსანიშნავია გაზეთის შინაარსი, მისი უკომპრომისო ეროვნულ პატრიოტული პოზიცია და დარბაისლური ტონი, რომელიც თქვენს გაზეთს ანსხვავებს მრავალ სხვა გამოცემისაგან.

დიდი სიხარულით მოგესალმებით და გილოცავთ.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ „ქართული აზრი“ს დამაარსებელი ჯგუფი საზოგადოდ დაფასებისა და პატივისცემის ღირსია მათი დაუცხრომელი და ნაყოფიერი მუშაობისათვის. შ. შტატებში, სადაც არამც თუ არ იდგა საქართველოს საკითხი, არამედ ბევრმა არც-კი იცოდა სად იყო საქართველო, ამ წრემ მოახერხა ჩვენი საკითხის დაყენება. ამას ემსახურება თქვენს მიერვე გამოცემული ჟურნალი ინგლისურ ენაზე, რომელიც უკვე შვიდი ნომერი გამოვიდა. თუ ამ ორგანოს შევაფასებთ იმის მიხედვით თუ რა გამოძახილი ჰპოვა ამერიკულ ოფიციალურ და საზოგადოებრივ წრეებში, ცხადია რომ უაღრესად სასარგებლო საქმე გაგიკეთებიათ. ყველაზე დიდ დამსახურებად მიმაჩნია შ. შტატების კონგრესის მიერ საქართველოს საკითხის ხელახლად დაყენება და კონგრესის ანგარიშებში ჩვენი საკითხისათვის ღირსეული ადგილის დათმობა. ეს არის თქვენი წრის დიდი ენერგიის, უნარის და საქმისადმი უანგარო სიყვარულის მაჩვენებელი და არ შეიძლება ვინც ამ საქმიანობას გაიცნობს და თქვენი ცხოვრების პირობებსაც გაითვალისწინებს, არ დაებადოს თქვენს მიმართ ნდობისა და პატივისცემის გრძნობა.

დარწმუნებული ვარ დასძლევთ დაბრკოლებებს და ასე კარგად დაწყებულ საქმიანობას განაგრძობთ საქართველოს საკეთილდღეოდ.

სამშობლოს მოყვარული ქართველობა ბოლოს თავს იქ მოიყრის, სადაც პოზიტიური ქართული საქმე კეთდება.

**ექიმი დავით ჩატარა**

***

პ-ლო ბ-ნო რედაქტორო, გთხოვთ მოათავსოდ ეს ჩემი წერილი თქვენს გაზეთში.

ოცდა შვიდ დეკემბერს საღამოს მოვედი სახლში. მაგიდაზე დამხვდა „ქართული აზრი“. ჩემს სიხარულს არ ჰქონდა საზღვარი. მივატოვე ყველაფერი, ჭამაც და დასვენებაც. შეუდექი კითხვას და სანამ არ გადავიკითხე ყველა წერილი თავი არ დავანებე. როცა გავათავე კითხვა ვთქვი: მადლობა ღმერთს, რომ იშვა ერთი ისეთი ქართული ორგანო, რომლის საშუალებით ყველა ქართველს შეუძლია ისაუბროს ერთმანეთში ქართულად, მოიგონოს სახელოვანი წარსული და იზრუნოს მომავლისათვის. დიდი ხნის ლოდინის შემდეგ აღსრულდა ჩვენი წადილი. ამის შემდეგ შემიძლია ვთქვა, რომ ქართველები კვლავ ცოცხლები ვართ პოლიტიკურად და ისევ შეუდრეკლად განვაგრძობთ ბრძოლას თავისუფლებისათვის. „ქართული აზრი“ საუკეთესო იარაღია ბრძოლისა. ამ ორგანოს გარშემო უნდა შემოიკრიბოს ჩვენი ემიგრაცია. უნდა დავეხმაროთ მას ყველა, სულიერად და მატერიალურად. ეს არის ჩვენი სულიერი საზრდო, ყველა ემიგრანტისათვის, სადაც არ უნდა იყოს ის, იმიტომ რომ ის ქართულად გველაპარაკება და ჩვენც მას უნდა გავცეთ ქართული პასუხი.

მართალია, მტერი მოგვერია, ჩვენი თავისუფლება წალეკა, მაგრამ საქართველო ისევ განაგრძობს შეუდრეკელ ბრძოლას და აქაც, ქართული ემიგრაცია თავის სიტყვას ამბობს, სიტყვას ქართულს და გაბედულს. საქართველო ძველად უფრო მძიმე პირობებშიც ყოფილა, მაგრამ ყოველგვარ თავდასხმებს გადაურჩა, თავისი მეობა შეინახა და ისევ ცოცხალი და მებრძოლი ერია. შეუდრეკელმა ბრძოლამ და ბრძოლაში ერთობამ გადაგვარჩინა. დღესაც ამ გზას უნდა დავადგეთ, ამ გზით უნდა ვიაროთ. არ უნდა დაგვავიწყდეს 1924 წლის აგვისტოს აჯანყების მიზანი. ბრძოლის შეჩერება სიკვდილს გვიქადის. ბრძოლა არ გათავდება გამარჯვებამდე და ამ ბრძოლის იარაღად უნდა გადავიქცეთ ყველა.

ნიუ იორკის ქართულ ემიგრაციას უკვე აუნთია ცეცხლი სულიერი სითბოსი და ამ სითბომ ჩემამდე მოაღწია, სადაც მე ვცხოვრობ იქ შემოანათა და მე ვიგრძენი ქართული სითბო. ფიზიკურად დაქანცული ვიყავი, მაგრამ დღეს ენერგიით სავსე ვარ. მომესმა ქართული ემიგრაციის რიხიანი ხმა და ამან გამიცოცხლა იმედები. მჯერა რომ „ქართული აზრი“ ყველა ქართველ ემიგრანტს გაახარებს და ბრძოლის ენერგიას გაუორკეცებს.

დიდი სიხარულით გიგზავნით 10 დოლარს და ვალდებულად ვრაცხ ჩემს თავს ყოველ მეორე თვეში ამდენივე გამოგიგზავნოთ.

ქართველებო! გავმაგრდეთ სულიერად, ჩვენ კვლავ მოვიპოვებთ თავისუფლებას. ერი რომელიც შეგნებულად იბრძვის, ბოლოს მუდამ აღწევს თავის მიზანს. ქართველები ერთობით გავსწყვეტთ მონობის ჯაჭვებს:

„სჯობს მონობაში გადიდკაცებულს,
თავისუფლების ძებნაში მკვდარი!“

1-5-56 წ. **დიმიტრი გუნია**

***

პატივცემულო ბ-ნო რედაქტორო, გთხოვთ თქვენი გაზეთის საშუალებით ნება მომცეთ გულითადი მადლობა გადაუხადო ქართული **წმ. ნინოს** ეკლესიისათვის შემომწირველთ.

**პირველი სია:** აბდუშელი ზურაბ 2 დოლარი; ბოჭორიშვილი გიორგი ოჯახით 6 დ.; ბარათელი ს. მეუღლით 3დ.; ექ. ზ. გამყრელიძე მეუღლით 5 დ.; ექ. გ. გაბლიანი მეუღლით 10 დ.; ანა გიგოლოვი 5 დ.; მ. დადიანი მეუღლით 3 დ.; ალ. დუმბაძე 2 დ.; მ. ზაქრაძე 5; ზალდასტანების ოჯახიდან 10 დ.; ნ. თოფურია მეუღლით 5 დ.; ედიგაროვი მარიამი 2 დ. ს. კობიაშვილი მეუღლით 3დ.; ნ.მ. კეი მეუღლით 2 დ.; კობი ა. ჯოჰნ და ანა 5 დ.; ლ. ფონ კუპფერ 5 დ.; კაბარდინ ოლგა 2 დ.; ბ. ლანინგ 5 დ.; ო. ლებედევ 1 დ.; მოლოვ ო. 2; მარანდი თ. 1 დ.; ვ. ნანუაშვილი 5 დ.; ნაკაშიძე ქეთევან 2 დ.; ვ. ოლშანსკი 3 დ.; პეტრი სოფიო 3 დ.; პანოვ ელისაბედი 2 დ.; სინდიკელი დიმიტრი 5 დ.; გ. ღოღობერიძე 5 დ.; კ. შატბერაშვილი მეუღლით 5 დ.; ა. ჩხენკელი 2 დ.; ექ. დ. ჩატარა მეუღლით 5 დ.; ალ. ცომაია მეუღლით 3 დ.; ალ. ჯინჭარაძე 5 დ.;

სულ 129 დოლარი.

იმედი გვაქვს, რომ ქართველობა ამ საქმეს მეტი ყურადღებით მოექცევა და თავის დახმარებას არ მოაკლებს ქართულ ეკლესიას. შემოწირულებათა მიღება გრძელდება. მისამართი:

**A. Djin Tcharadze, 80 East End Ave., N.Y.**

პატივისცემით, **მაიორი ალ. ჯინჭარაძე**

***

## CAUCASIAN REVIEW

გამოვიდა პირველი ნომერი ინგლისურ ენაზე. გამომცემელია მიუნხენში არსებული ინსტიტუტი საბჭოთა კავშირის შესწავლისა. ჟურნალი შეიცავს 236 გვერდს და გამოცემულია ლამაზად. სარედაქციო კოლეგიაში შედიან: ბ.ბ. რ. არსენიძე, ბ. ბაიტუგანი, დ. ჰადჟიბეილი, ს. ტოროსიანი და რ. ტრახო. ჟურნალში მოთავსებულია 30-მდე სტატია და ქრონიკა. ქართველებიდან მონაწილეობას იღებენ შემდეგი ავტორები: გ. შარაშიძე, გრ. ურატაძე, მ. ლაშაური, დ. საღირაშვილი, რ. ჟორდანია, და რაჟდენ არსენიძე.

„ქართული აზრის“ რედაქცია ულოცავს მიუნხენის ინსტიტუტს და მის მომწყობ ამერიკულ კომიტეტს ამ სასარგებლო საქმის დაწყებას და ახალ ჟურნალს უსურვებს ხანგრძლივ სიცოცხლეს. ამასთანავე გამოვთქვამთ იმედს, რომ რედაქცია მომავალში ეცდება ჟურნალში თანამშრომლობის საშუალება მისცეს ემიგრაციის ყველა დემოკრატიული წრეების კულტურულ ძალებს და არა მხოლოდ ერთი წრისას.

---

ლატს ვერ შეიწყნარებდა. გარდა ამისა, ერეკლე, ზედმიწევნით მცოდნე სპარსული პოლიტიკის ყოველგვარი ნიუანსებისა, აღა მაჰმად ხანის გულუხვ დაპირებებს, ალბათ მოკლევადიან თამასუქად სთვლიდა, რომელიც ისევე ადვილად შეიძლებოდა უკან წაეღოთ, როგორი სიადვილითაც იძლეოდნენ.

ერეკლემ სპარსეთის წინადადება უარყო. ეს ნიშნავდა ომს. შაჰი საქართველოს დასასჯელად ჯარების მზადებას შეუდგა. ერეკლეს სისტემატიურად მოსდის ცნობები შაჰის მზადების შესახებ და ამ ცნობებს ის რუსეთს აწვდის. თანახმად ხელშეკრულებისა „პროტექტორი“ მოვალეა საქართველოს ტერიტორია გარეშე მტრის თავდასხმიდან დაიცვას. ერეკლე რუსეთს უთითებს ამ მოვალეობაზე და კატეგორიულად თხოულობს აღა მაჰმად ხანისაგან თავდასაცავად საქართველოში რუსული ჯარის ნაწილები გამოიგზავნოს. შაჰი სამი წელიწადი ემზადა ამ ომისათვის. ერეკლემ ეს მოთხოვნილება პირველად 1792 წელს წარადგინა. ჯერ მან გაგზავნა უფლისწული მირიანი და დაავალა აეხსნა რუსეთის მთავრობისათვის საქმის ვითარება და მოეთხოვა ტრაქტატით გათვალისწინებული ჯარის გამოგზავნა. მირიანი პირნათლად ასრულებს მამის დავალებას და გრაფი პლატონ ზუბოვის საშუალებით დასაბუთებულ მოთხოვნილებას ურდგენს იმპერატრიცას (იხ. დუბროვინი, ტ. 3, გვ. 9) ეს მოთხოვნა გაარჩია სახელმწიფო საბჭომ. დადგენილების მიხედვით ირკვევა, რომ რუსეთის მთავრობა ერთგული დარჩენილა ტოტლებენის დროის პოლიტიკისა. იმპერატრიცა საიდუმლო ინსტრუქციით აცნობებს კავკასიის ჯარების მთავარ სარდალ გენ. გუდოვიჩს, რომ ქართველებს იმედი არ უნდა დაუკარგოთ, გამხნევება არ უნდა მოაკლოთ რამდენადაც ეს არაფერი გვიღირს, მაგრამ ჯარებით დახმარების გაწევა არ არის მიზანშეწონილად მიჩნეულიო. გენ. გუდოვიჩს საქმე ისე უნდა წაეყვანა, რომ რუსების დახმარების იმედით ერეკლეს სპარსეთთან ზავი არ შეეკრა, ხოლო როცა საქმე ომამდე მივიდოდა, საქართველო მარტო უნდა დარჩენილიყო. რომ ეს აღსაშფოთებელი, ყოველგვარი მორალური და ადამიანური კანონების დამრღვევი გეგმა რუსეთის მტრების შეთხზული არავის ეგონოს, მოვიყვანთ თვით ბრძანების ნახსენებ ადგილს: 1792 წ. 8 მაისის რესკრიპტში ეკატერინა სწერს გუდოვიჩს: „პოდავატ ცარიუ ირაკლიუ დეიატელნოე პოსობიე, პოკოლიკუ ვოზმოჟნო ნე ზახოდია ვბოლშიე იზდერჟკი ი ხლოპოტი“. ხოლო ჯარებით დახმარების შესახებ ის დასძენს: „ოტპრავლიატ ვგრუზიუ ვოისკა ზა ბლაგო ნე პრიემლეცა, პოკა ნე პრედსტავიაცა კტამუ ბლაგოპრიატნია აბსტაიატელსტვა, ო ჩომ პოკა ი პამიშლიატ ნე დოლჟნო...“ (იხ. დუბროვინი ტ. 3, გვ. 9; ბუტკოვი ტ. 2, გვ. 334-35; და პოტო ტ. 1 გვ. 264).

ასეთი იყო რუსეთის მთავრობის საიდუმლო დადგენილება, თვით იმპერატრიცას ხელმოწერით გუდოვიჩთან სისრულეში მოსაყვანად გადმოგზავნილი. ერეკლემ, რა თქმა უნდა, ამ საიდუმლო ბრძანების შესახებ არაფერი იცოდა და რუსეთიდან შველას უკანასკნელ წუთამდე მოელოდა. გენ. გუდოვიჩი, როგორც ჭეშმარიტი რუსი და თავისი მეფის ერთგული მოხელე, ცდილობს ეს ბრძანება პირნათლად შეასრულოს. ერეკლეს ყველა მიმართვაზე ის დამშვიდებით უპასუხებს, რომ მისი აზრით აღა მაჰმად ხანის საფრთხე გადაჭარბებულია, რომ მას საქართველოზე გამოლაშქრებამდე ძალიან ბევრი დაბრკოლებები აქვს დასაძლევი და სხვ. ერეკლე ერთი მიმართვით არ კმაყოფილდება. 1794 წელს ის საგანგებო რწმუნებულს გზავნის პეტერბურგში. ამ მისიას რომ მეტი წონა და ფასი მისცეს, იგზავნება თვით გარსევან ჭავჭავაძე — რუსეთ საქართველოს კავშირის მთავარი სულის ჩამდგმელი და ერთ-ერთი ავტორი ტრაქტატისა. გ. ჭავჭავაძე გიორგიევსკზე გავლის დროს ინახულებს გენ. გუდოვიჩს და განუმარტავს, რომ ქვეყანა დიდი საფრთხის წინაშე დგას, რომ აღა მაჰმად ხანი ყოველ ეჭვს გარეშე თავდასხმას ამზადებს და ამ თავდასხმის მიზეზი მხოლოდ საქართველოს რუსეთთან მეგობრობაა. საქართველო, როგორც რუსეთის მფარველობის ქვეშ მყოფი ქვეყანა, მოელის დაპირებულ დახმარებას თავის ტერიტორიის დასაცავადო. გ. ჭავჭავაძის რუსეთში გასტუმრების შემდეგ ერეკლე პირადად გუდოვიჩთანაც გზავნის შიკრიკებს ვრცელი განმარტებებით. 1795 წლის 6 ივნისს ერეკლე კიდევ ერთხელ მიმართავს რუსეთის მთავრობას — ამ დროს საქართველო უკვე უშუალოდ დგას საფრთხის წინაშე, აღა მაჰმად ხანის ლაშქარი სპარსეთიდან დაძრულია და ამიერ კავკასიის საზღვრებს უახლოვდება. მეფესთან ერთად ეკატერინეს მიმართავს ერეკლეს მეუღლე დარეჯანი. მეფე ცალკე წერილს სწერს რუსეთის პირველ მინისტრ გრაფ ბეზბოროდკოს. პეტერბურგში გ. ჭავჭავაძე მთელ თავის გავლენასა და კავშირებს იყენებს, რომ მთავრობას საჭირო დადგენილება მიაღებინოს.

**ალ. ცომაია**

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

---

„ქართული აზრი“ს ფონდისათვის მიღებულია შემოწირულებანი შემდეგ პირთაგან: 1. ექ. დ. ჩატარა 20 დოლარი; 2. X-საგან 10 დ. 3. ლ. ღუმბაძე 10 დ.; 4. დ. გუნია 10 დ.; 5. ვ. სანგულია 10 დ.; 6. ნ. თოფურია 10 დ.; 7. ა. კეკელია 10 დ.; 8. ს. ბარათელი 10 დ.; 9. ს. კობიაშვილი 5 დ.; 10. ვ. ს. 5 დ.; 11. კინწურაშვილი 3 დ. **სულ 103 დოლარი.**

რედაქცია ულრმეს მადლობას უცხადებს ყველა დამხმარეს და დარწმუნებული ვართ, რომ სამშობლოს მოყვარული ქართველობა მომავალშიც არ მოგვაკლებს თავის ყურადღებას.

**რედაქცია**

EDITORIAL BOARD: Dr. G. Gabliani, S. Kaishauri, G. Lolua.
EDITOR IN CHIEF: D. Sindikeli
12-29 — 120 St. College Point. L. I.
New York.

Printed by Rausen Bros., 142 E. 32nd Street, N. Y. C.